სააპელაციო საბჭოს სხდომის ოქმი №3

ქ. თბილისი

18.01.2019

სხდომას ესწრებოდნენ:

სააპელაციო საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ნოდარ პაპუკაშვილი - შპს ,,თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის '' რექტორი, პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
დევი ხვედელიანი - ა(ა)იპ კერძო უმაღლესი სასწავლებლების ასოციაციის მმართველი, საბჭოს მდივანი - საბჭოს სხდომის მდივანი;
ზურაბ გასიტაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
გიორგი სალუქვაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორი, აკადემიური საბჭოს მდივანი;
სოფიკო ლობჟანიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან არსებული დეპარტამენტის განათლების სკოლის ხელმძღვანელი;
გრიგოლ ტატიშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რაფიელ აგლაძის სახელობის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის დირექტორი, რევაზ დოღონაძის სახელობის თეორიულ კვლევათა ლაბორატორიის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;
ეკა ლეფსვერიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტის პროფესორი;
თინათინ კაიშაური - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი, ა(ა)იპ - საქართველოს შემოქმედებითი კავშირ საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი;
თამარ ბაღდავაძე - შპს ,,ლენდ მარკ პროჯექტის" არქიტექტორი; ა(ა)იპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ხელოვნების ლექტორი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

კახაბერ ერაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ლანა გაჩეჩილაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ავტორიზაცია-აკრედიტაციის საბჭოების კოორდინაციის სპეციალისტი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წარმომადგენლები:

თამარ ქიტიაშვილი - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარე;
ვახტანგ ჭარაია - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის წარმომადგენლები:
მარიამ ტვილდიანი - დირექტორი
სალომე ჭინჭარაული - სასწავლო პროცესის ხელმძღვანელის ასისტენტი
ნინო გიორგაძე - ასისტენტი
ეკა აბჟანდაძე - ხარისხის მართვის სამსახური
თამარ დაუსი - სასწავლო დეპარტამენტის ხემძღვანელი
ნინო ფანცულაია - სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილე

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:10 საათზე.

სააპელაციო საბჭოს სამდივნოს წევრმა, ლანა გაჩეჩილაძემ განაცხადა, რომ თუ დამსწრე საზოგადოება წინააღმდეგი არ იქნებოდა საბჭოს სხდომის ოქმის მოსამზადებლად მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩანაწერის მომზადება და ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის ხელმოწერისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 26^5-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრებოდა საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 26^7-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 26[5]-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, ნოდარ პაპუკაშვილმა. ამავე ნორმის თანახმად, საბჭოს მდივნის მოვალეობა შეასრულა დევი ხვედელიანმა.

საბჭოს თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ, ავტორიზაციის დებულების 26[6]-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიმღები პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოდან სხდომას ესწრებოდა საბჭოს თავმჯდომარე, თამარ ქიტიაშვილი და საბჭოს წევრი ვახტანგ ჭარაია.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის სააპელაციო საჩივრის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. საბჭოს წინაშე შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის სააპელაციო საჩივრის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარსა და საჩივართან დაკავშირებულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

თავმჯდომარემ კოლეჯის წარმომადგენლებს მიმართა წარმოედგინათ საჩივარი და ყურადღება გაემახვილებინათ პრობლემურ საკითხებზე.

კოლეჯის იურისტმა ნინო გიორგაძემ სააპელაციო საჩივარი გააცნო სააპელაციო საბჭოს:

დასკვნაში დაფიქსირდა, რომ დარღვეულია პირველი სტანდარტი 1.1.

ქვესტანდარტი ეხება საგანმანათლებლო პროგრამას. სტანდარტის დაკმაყოფილება გულისხმობდა დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას. რომლეშიც აღნიშნული უნდა იყოს მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის შეფასების მეთოდოლოგიის განსაზღვრის ძირითადი პრინციპები. საექთნო განათლების პროფესიული პროგრამა შემუშავებულია შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე. აღნიშნული ჩარჩო დოკუმენტის ერთ-ერთი მოთხოვნაა პრაქტიკის ობიექტთან დადებული ხელშეკრულება, რომელიც გულისხმობს პრაქტიკული მოდულების სწავლის შედეგების პრაქტიკის ობიექტის ბაზაზე მიღწევის შესაძლებლობას. შენიშნა, რომ კოლეჯს ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროისათვის პრაქტიკის განმახორციელებელ დაწესებულებასთან დადებული ჰქონდა მემორანდუმი და ფიქრობდნენ, რომ კონკრეტულად პრაქტიკის განხორციელების წინ დადებდნენ ხელშეკრულებას. ზემოხსენებული მემორანდუმი მოიცავს პროგრამით გათვალისწინებული ყველა პრაქტიკული მოდულის განხორციელების შესაძლებლობას, უბრალოდ მასში არ იყო ინფორმაცია კონკრეტული პირების შესახებ, ვინც უზრუნველყოფდა პრაქტიკის გატარებას.

თავმჯდომარე დაინტერესდა ვიზიტის დროს, მემორანდუმის გარდა ხომ არ არსებობდა რაიმე ხელშეკრულება.

ნინო გიორგაძემ აღნიშნა, რომ მხოლოდ მემორანდუმი იყო გაფორმებული და ექსპერტთა მიერ აღნიშნულის ხარვეზად დაფიქსირების შემდეგ კოლეჯმა გააფორმა ხელშეკრულება

და წარმოადგინა ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე საკითხის განხილვისას, ავტორიზაციის საბჭომაც გაიზიარა მათი არგუმენტები და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე ხარვეზი აღმოფხვრილად მიიჩნია.

ნოდარ პაპუკაშვილმა მიიჩნია, რომ ეს ხარვეზი შეიძლება ჩაითვალოს აღმოფხვრილად.

საბჭოს წევრი, ზურაბ გასიტაშვილი დაინტერესდა რეალურად პრაქტიკა ჯერ განხორციელდა თუ არა. ნინო გიორგაძემ აღნიშნა, რომ პრაქტიკა ხორციელდება პრაქტიკოსი ექთნის პროგრამის ფარგლებში. საექთნო განათლების პროგრამის დამატებაზე უარის თქმის გამო პროგრამაზე სწავლა არ დაწყებულა.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლობჟანიძემ, აღნიშნა, რომ საყურადღებოა ის გარემოება, რომ ავტორიზაციის საბჭოს უფლება არ აქვს მხედველობაში მიიღოს დაწესებულების მიერ ვიზიტის შემდეგ წარმოდგენილი დოკუმენტი.

ნინო გიორგაძემ აღნიშნა, რომ მემორანდუმით დაწესებულება ყველა ვალდებულებას იღებდა პრაქტიკის ფარგლებში და ყოველი მოდულის დროს სტუდენტთა შესაბამისი რაოდენობის გათვალისწინებით დაწესებულება გამოყოფდა პასუხისმგებელ პირს და შესაბამისად გაფორმდებოდა ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულება დამატებით განსაზღვრავდა ჩარჩო დოკუმენტით და პროგრამით დადგენილ დამატებით მოთხოვნებს.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭოსთვის ნათელია 1.1 ქვესტანდარტის საკითხი. დაინტერესდა 1.2 ქვესტანდარტთან დაკავშირებით რა პოზიცია ჰქონდა კოლეჯს. დაინტერესდა, რას გულისხმობს დასკვნის ჩანაწერი ,,კატალოგში არ არის ავტორიზაციის სტანდარტით მოთხოვნილი - საკონტაქტო ინფორმაცია''. ნინო გიორგაძემ განმარტა, რომ კატალოგი არ მოიცავდა ინფორმაციას დაწესებულების მისამართის და ტელეფონის ნომრის შესახებ. რაც აღმოიფხვრა ვიზიტის პერიოდშივე.

თავმჯდომარე დაინტერესდა 2.5 ქვესტანდარტთან დაკავშირებით დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზით: დაწესებულებაში არ არსებობს საქმისწარმოების ერთიანი წესი, რის მიხედვითაც უნდა განხორციელდეს საქმისწარმოება.

ნინო გიორგაძემ აღნიშნა, რომ კოლეჯში არსებობს ზოგადმარეგულირებელ დოკუმენტთა კრებული, რომელიც მოიცავს საქმისწარმოების წესებს. აღნიშნულ კრებულში მოცემულია ყველა დეპარტამენტის, მათ შორის საქმისწარმოების ფუნქცია-მოვალეობები. ექსპერტთა ვიზიტის დროს არ არსებობდა საქმისწარმოების ერთიანი წესის ცალკე დოკუმენტი. შესაბამისად, ექსპერტთა ვიზიტის შემდგომ, დაწესებულებამ ცალკე გამოიტანა კრებულიდან საქმისწარმოების ერთიანი წესი, დაამტკიცეს ცალკე და წარმოადგინეს

ცენტრში დასკვნის პროექტის შემდეგ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად.

3.2 ქვესტანდარტთან დაკავშირებით ნინო გიორგაძემ აღნიშნა, რომ პროფესიულ მასწავლებელთა კვალიფიკაცია დასტურდება არანაკლებ სამწლიანი სამუშაო გამოცდილებით, ისინი არიან მოქმედი მედდები. ექსპერტების აზრით გარკვეული მოდულების განხორციელებას ვერ შეძლებს რამდენიმე პროფესიული მასწავლებელი.

თავმჯდომარე დაინტერესდა კოლეჯს ამ დროისათვის რამდენი სტუდენტი ჰყავს. ნინო გიორგაძემ აღნიშნა, რომ კოლეჯში ამ დროისათვის ირიცხება აქტიური სტატუსის მქონე 45 სტუდენტი, რომელთაგანაც 28 სტუდენტი თებერვალში ასრულებს სწავლას.

თავმჯდომარე დაინტერესდა, სულ რამდენი პროფესიული მასწავლებელი ჰყავს კოლეჯს და რა ტიპის კონტრაქტები აქვთ მათთან გაფორმებული. ნინო გიორგაძემ აღნიშნა, რომ 25 პროფესიული მასწავლებელი ჰყავთ და მათთან გაფორმებულია ნაწილთან მომსახურების და ნაწილთან შრომის ხელშეკრულებები. შენიშნა, რომ მოდულების კონკრეტული სწავლის შედეგების მიხედვით ჰყავთ შერჩეული პროფესიული მასწავლებელი, ამიტომაა ამდენი განმახორციელებელი.

თამარ დაუსმა აღნიშნა, რომ იგი არის პროფესიული განათლების მასწავლებელი, კვალიფიკაციით არის მედდა და განახორციელებს „მიკრობიოლოგიის", „ანატომია-ფიზიოლოგიის", „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ფსიქიატრიის" მოდულებს, ექსპერტთა ჯგუფის აზრით მისი კვალიფიკაცია არ შეესაბამება აღნიშნული მოდულებს. მათი მოსაზრებით, თამარ დაუსს არ შეუძლია გერიატრიის საექთნო მართვის პრინციპების სწავლება. თამარ დაუსმა აღნიშნა, რომ საექთნო მართვა დაფუძნებულია 5 სტანდარტზე: შეფასება, დაგეგმარება, იმპლემენტაცია, გადაფასება და შეფასება. პაციენტის ასაკს არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. პნევმონიით დაავადებული იქნება 20 წლის თუ 80 წლის პაციენტი ამას არსებითი მნიშვნელობა საექთნო მართვისას არ აქვს. სხვაობა ფიზიოლოგიური ცვლილებაა. ახალგაზრდა პაციენტს უფრო დამყოლი ფილტვი აქვს. გერიატრია არ ისწავლება როგორც მეცნიერება. ასევე იყო საუბარი მიკრობიოლოგიის სწავლების შესახებ. თამარ დაუსის მოსაზრებით ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებული აღნიშნული მოდულების სწავლის შედეგების მისაღწევად მისი კვალიფიკაცია სავსებით თავსებადია მოდულით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან.

სოფიკო ლობჟანიძე დაინტერესდა თამარ დაუსს აღნიშნული მოდულების შესაბამისი სწავლის შედეგები თუ აქვს გავლილი თავის დროზე, როცა სწავლობდა.

თამარ დაუსმა აღნიშნა, რომ სწავლა მან დაასრულა 1996 წელს. პროგრამის მოცულობა განსაზღვრული იყო 180 კრედიტით და სასწავლო პროცესი მოიცავდა ანატომიას,

ფიზიოლოგიას, ფარმაკოლოგიას და ყველა საჭირო საგანს, რასაც ეხლაც მოიცავს საექთნო განათლების შესაბამისი სტანდარტი.

ეკა ლეფსვერიძემ აღნიშნა, რომ თავის დროზე, თამარ დაუსი მისი სტუდენტი რომ ყოფილიყო და მისთვის ეს ყველაფერი ესწავლებინა, იგი ნდობას გამოუცხადებდა მას, რომ შეძლებდა აღნიშნული კურსების სწავლებას. რადგან თამარ დაუსი ადასტურებს, რომ მას გავლილი აქვს შესაბამისი კურსები, მისთვის სრულიად მისაღებია, რომ მან ასწავლოს სტუდენტებს.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელი ი. მანჯავიძე, კვალიფიკაციით - ბებია-ქალი, განახორციელებს მოდულს „გერონტოლოგია-გერიატრიის საფუძვლები", რაც ექსპერტთა შეფასებით არ შეესაბამება მის კვალიფიკაციას.

თამარ დაუსმა აღნიშნა, რომ ბებია-ქალის კვალიფიკაცია მკვეთრად განსხვავდება ზოგადი მედდის კვალიფიკაციისაგან. ,,სამედიცინო დაწესებულებაში დასაქმების უფლებისა და შესაბამისი განათლების მქონე სამედიცინო პერსონალის ნუსხის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 16 ივლისის №244/ნ ბრძანების მიხედვით, თუ ბებია-ქალის კვალიფიკაციის მქონე მედდას აქვს არანაკლებ სამწლიანი მუშაობის გამოცდილება ზოგადი მედდის სპეციალობით, მას შეუძლია ზოგადი მედდის შესაბამისი საქმიანობა განახორციელოს და შეესაბამისად, მისი კვალიფიკაცია შეესაბამება აღნიშნული მოდულის განმახორციელებლისთვის საჭირო კვალიფიკაციას.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელი ს. ჭინჭარაული - კვალიფიკაციით ფილოლოგი, განახორციელებს მოდულს „სამართლებრივი საკითხები საექთნო საქმეში", რაც ექსპერტთა შეფასებით არ შეესაბამება მის კვალიფიკაციას.

ნინო გიორგაძემ აღნიშნა, რომ ჭინჭარაულს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მიერ 2016 წელს მიენიჭა მიგრაციის კვლევების მაგისტრის აკადემიური ხარისხი. მისი კვალიფიკაცია დასტურდება მაგისტრის დიპლომის დანართით, სადაც ჩანს, რომ მას გავლილი აქვს შემდეგი კურსები: საერთაშორისო საჯარო სამართალი, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი, თანამედროვე საჯარო მმართველობა და ევროკავშირის სამართალი. ს. ჭინჭარაული მოიაზრება მოდულის - ,,სამართლებრივი ასპექტები საექთნო საქმეში" განმახორციელებლად, აღნიშნული მოდულის სწავლის შედეგებია: ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ადამიანის უფლებების საერთაშორისო დაცვის ძირითადი დებულებების განარტება; საქართველოს ჯანდაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის იდენტიფიცირება და პაციენტის უფლებების და მოვალეობების განამრტება. შენიშნა, რომ მაგისტრის დიპლომის დანართი ვიზიტის დროს ექსპერტებს წარუდგინეს და ასევე

წარმოადგინეს საბჭოს სხდომაზე საკითხის განხილვისას, ასევე სააპელაციო საჩივრის დანართადაა წარმოდგენილი. ს. ჭინჭარაული მოდულის ერთადერთი განახორციელებელი არაა, მოდულის განმახორციელებელია ასევე თავად ნინო გიორგაძე. თავმჯდომარემ შენიშნა, რომ არ აქვს იმას მნიშვნელობა, რომ იგი არაა ერთადერთი განმახორციელებელი, რომ რადგან სალომე ჭინჭარაული განმახორციელებელია მას უნდა უდასტურდებოდეს შესაბამისი კვალიფიკაცია.

კლინიკურ სწავლება-სწავლის პროცესში ჩართულ ექთნებს და ამავდროულად, დაწესებულების პროფესიულ მასწავლებლებს: მ. ასანიძეს, ლ. ვოსკანიანს, რ. ქსოვრელს, მ. მენთეშაშვილს, მ. ცხოვრებაძეს, თ. გიგაურს, მ. დიდებაშვილს, მ. ასანიძეს, ი. მანჯავიძეს, თ. კომლაძეს, წარმოდგენილი დოკუმენტაციით არ უდასტურდებოდათ უცხო ენისა და კომპიუტერული უნარების კომპეტენცია. ვიზიტის პერიოდში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოთხოვნილ იქნა დამატებითი დოკუმენტაცია ზემოაღნიშნული კომპეტენციის დადასტურების მიზნით. დაწესებულების წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილ იქნა „პროფესიული პროგრამის განმახორციელებელი პირების ინგლისური და საინფორმაციო ტექნოლოგიების კომპეტენციის დადასტურების შესახებ კომისიის ოქმი", რომელიც დათარიღებული იყო 2018 წლის 28 ივლისით, ხოლო პერსონალთან მომსახურების ხელშკრულება გაფორმებულია 4 ივლისს. ამასთან, ბუნდოვანია თუ რა კრიტერიუმებითა და ინდიკატორებით იხელმძღვანელა კომისიამ გადაწყვეტილების მიღებისას, არ არის წარმოდგენილი პერსონალის მიერ ინგლისური ენისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების კომპეტენციის დადასტურების არც ერთი მტკიცებულება.

კახაბერ ერაძემ აღნიშნა, რომ საექთნო განათლების ჩარჩო დოკუმენტი წარმოადგენს სტანდარტს, რომლის მიხედვით შემუშავებულია პროგრამა. ჩარჩო დოკუმენტის მოთხოვნის შესაბამისად, კლინიკური მოდულების გავლის უზრუნველყოფის მიზნით, საგანმანათლებლო დაწესებულებასა და პრაქტიკის ობიექტს შორის გაფორმებული ხელშეკრულება უნდა არსებობდეს და არა მემორანდუმი. ჩარჩო დოკუმენტი ადგენს კლინიკურ სწავლება-სწავლის პროცესში ჩართული ექთნების საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, მათ შორის უცხოური ენის ფლობა - ინგლისური ენა A1 და საოფისე პროგრამების კარგი ფლობა, ასევე, საექთნო სფეროში მუშაობის არანაკლებ 5-წლიანი გამოცდილება.

ნინო გიორგაძემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა დასკვნის გაცნობის შემდგომ მათ არგუმენტირებული პოზიცია წარმოადგინეს ცენტრში და თან დაურთეს პერსონალის პირადი საქმეები, რომლებიც მისი განცხადებით პირად საქმეებში ექსპერტთა ვიზიტის დროსაც არსებობდა. მათი სამუშაო გამოცდილების შესახებ ცნობები ადასტურებს, რომ მათ ხუთწლიანი და ზოგ შემთხვევაში 15, 20 ან 25 წლიანი გამოცდილება აქვთ.

თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ დოკუმენტები ვიზიტის დროს იქნა წარმოდგენილი, რატომ რჩება ხარვეზი ისევ დასკვნაში. თამარ დაუსმა აღნიშნა, რომ პირადად იყო

წარმოდგენილი ვიზიტისას აღნიშნული დოკუმენტების განხილვისას და ექსპერტებს თავისი არგუმენტებიც წარმოუდგინა, თუმცა რიგ შემთხვევებში არ დაეთანხმა მას ექსპერტთა ჯგუფი და კვლავ ხარვეზად დაფიქსირდა დასკვნაში. ნინო გიორგაძემ აღნიშნა, რომ არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფმა რამდენიმე განმახორციელებლის შემთხვევაში ხარვეზი აღმოფხვრილად მიიჩნია.

ნინო გიორგაძემ შენიშნა, რომ ხარვეზი ეხება ინგლისური ენის და კომპიუტერული უნარების ფლობის დადასტურების დოკუმენტს. რომელიც გაფორმებული იყო პრაქტიკის ობიექტზე მოდულის განმახორციელებელ პირებთან ხელშეკრულების დადების შემდგომ. აღნიშნა, რომ დადებული იყო არა შრომის, არამედ მომსახურების ხელშეკრულებები. მათ გარკვეული ვადა მიეცათ კოლეჯში წარმოედგინათ ინგლისური ენისა და კომპიუტერული უნარების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი. ვინც ვერ შეძლო შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენა, კოლეჯის ინგლისური ენის მასწავლებლის და IT პედაგოგის მიერ შემუშავებული ტესტით დაადასტურეს შესაბემისი კომპეტენციები. აღნიშნულის თაობაზე შედგა ერთჯერადი კომისია და კომისიის სხომის ოქმი. კომისიამ დაადასტურა მათი კომპეტენციები - ინგლისური ენა A1 და საოფისე პროგრამების კარგი ფლობა. დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა ზემოთ აღნიშნული ტესტები.

ნინო გიორგაძემ აღნიშნა, რომ პრობლემას წარმოადგენდა ვადა, თუ რატომ მოხდა ჯერ ხელშეკრულებების გაფორმება აღნიშნულ პროფესიულ მასწავლებლებთან და რატომ დადასტურდა მათი კომპეტენციები ამის შემდგომ. აღნიშნულთან დაკავშირებით, საბჭოს სხდომაზეც და ვიზიტის დროს ექსპერტებსაც დაწესებულებამ განუმარტა, რომ ეს ადამიანები 2016 წლიდან არიან დასაქმებული კოლეჯში ,,პრაქტიკოსი ექთნის'' პროგრამის ფარგლებში, ასევე წარმოადგენენ სამედიცინო კორპორაცია ,,ევექსის'' წამყვან მედდებს. კოლეჯში აკადემიური პერსონალის წარდგენაზე, მათ კვალიფიკაციასა და შერჩევაზე პასუხისმგებელი პირია სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელი, რომელიც ამავდროულად არის სამედიცინო კორპორაცია ,,ევექსის'' საექთნო დეპარტამენტის დირექტორი. შესაბამისად, მის მიერ არის შერჩეული ყველა ეს ადამიანი ჯერ სამედიცინო კორპორაცია ,,ევექსის'' მედდად და შემდეგ კოლეჯის პროფესიულ მასწავლებლად. მას შემდეგ, რაც პედაგოგთა ნაწილმა აღნიშნული კომპეტენციების დადასტურება რაიმე დოკუმენტით ვერ შეძლო, კოლეჯმა ფორმალურად დაადასტურა მათი კომპეტენციები ზემოხსენებული გზით. შესაბამისად, არ იზიარებენ ექსპერტთა შეფასებას, რომ ამით სტანდარტი ირღვევა.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარეს, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მათი პოზიცია გამოეხატათ.

თამარ ქიტიაშვილმა აღნიშნა, რომ საბჭოს შემადგენლობა დამტკიცდა 2018 წლის 22 ნოემბერს. შესაბამისად, ახალ შემადგენლობას არ მიუღია გასაჩივრებული გადაწყვეტილება. სააპელაციო საჩივარს და მასზე თანდართულ დოკუმენტებს იცნობს ავტორიზაციის საბჭო. მიიჩნევს, რომ ყველაზე მეტად საყურადღებოა განმახორციელებელი პირების კომპეტენციების საკითხი. საბჭო ხელმძღვანელობს ავტორიზაციის სტანდარტებით და მეორე მხრივ, ჩარჩო დოკუმენტი ადგენს მოთხოვნებს. გარდა ამისა, არის შემთხვევები, როცა დარგის მარეგულირებელი დოკუმენტები ადგენს სხვა მოთხოვნებს. ასევე, მნიშვნელოვანია მოქმედი შრომითი კანონმდებლობის გათვალისწინება. ყველა ამ მოთხოვნების გათვალისწინებით საბჭო იზიარებს ან არ იზიარებს ექსპერტთა დასკვნას. აღნიშნა, რომ ვიწრო ზღვარია რეკომენდაციასა და დარღვევებს შორის დღევანდელი მოქმედი სტანდარტის გათვალისწინებით. სტანდარტი მკაფიოდ ვერ იძლევა დაზუსტებული შეფასების შესაძლებლობას. პროფესიული განათლების შესახებ ახალი კანონი ძალაში შევიდა. მომზადებულია ახალი სტანდარტები, 5 სტანდარტი და მომდინარე წლის ოქტომბრის თვემდე უნდა შევიდეს ძალაში. ახალი სტანდარტები უფრო შესაძლებელს გახდის მეტად რაფინირებული იყოს ექსპერტთა დასკვნები და შესაბამისად, საბჭოს გადაწყვეტილებებიც. თამარ ქიტიაშვილმა აღნიშნა, რომ საბჭოს ახალი შემადგენლობის მოსაზრებით, ძველმა შემადგენლობამ იმსჯელა საფუძვლიანად. ავტორიზაციის მოქმედი დებულება აძლევს საბჭოს შესაძლებლობას, საბჭომ მიიღოს გადაწყვეტილება თავისი შეფასებიდან გამომდინარე და გაითვალისწინოს ან არა დამატებითი გარემოებები.

აღნიშნა, რომ ავტორიზაციის საბჭო მოწოდებულია თანამშრომლობისკენ, და თუ აპელაციის საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას საკთხის განსახილველად დაბრუნების შესახებ, რომ დამატებით მოხდეს საკითხის განხილვა, რა თქმა უნდა საბჭო განიხილავს აღნიშნულ საკითხს. თუმცა აღნიშნა, რომ მისი მოსაზრებით საბჭოს გადაწყვეტილებებში დარღვევები არ ფიქსირდება და გადაწყვეტილებები გამომდინარეობს ექსპერტთა დასკვნიდან და ზეპირ მოსმენაზე მხარეთა მიერ დაფიქსირებული პოზიციიდან.

ვახტანგ ჭარაიამ აღნიშნა, რომ პირადად მისთვის ასევე მნიშვნელოვანი გარემოებაა, თუ რამდენად აქვს დაწესებულებას განვითარების პოტენციალი.

საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 14:50 საათზე.

საბჭოს სხდომამ ღია რეჟიმში განაგრძო მუშაობა 14:57 საათიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის მიმართ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 7 სექტემბრის №153 გადაწყვეტილების ხელახლა განხილვისათვის დაბრუნების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 24^1-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 26^7-ე მუხლის მეორე პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯისთვის (ს/კ:402022609) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდგომ საბჭოს სხდომა დასრულდა 15:05 საათზე.

თავმჯდომარე

ნოდარ პაპუკაშვილი

მდივანი

დევი ხვედელიანი